IBSU

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტსა“

და

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა.Georgian-American School-ს

შორის

ქ. თბილისი **13.02.2018**

ერთის მხრივ შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (შემდგომში „შზსუ“), წარმოდგენილი მისი რექტორის, ილიას ჩილოღლუს სახით და მეორე მხრივ, შპს ქართულ-ამერიკული სკოლა.Georgian-American School-ი წარმოდგენილი მისი დირექტორის, ირმა მესხიშვილის სახით, ურთიერთპატივისცემის და საერთო ინტერესების გათვალისწინებით, გამოთქვამენ სურვილს, ითანამშრომლონ ერთმანეთთან და აფორმებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. მემორანდუმის მიზანია, შზსუ-ს ამერიკისმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების მეშვეობით, შპს ქართულ-ამერიკული სკოლა.Georgian-American School-ის მოსწავლეებისათვის ცალკეული აქტივობების განხორციელება, ამერიკისმცოდნეობის საკითხებზე ცოდნის დონის ამაღლებისათვის.
2. წინამდებარე მემორანდუმის პირველი მუხლით გათვალისწინებული მიზნის განსახორციელებლად, შზსუ-ს ამერიკისმცოდნეობის ინგლისურენოვანი პროგრამის პროფესორები სკოლის მოსწავლეებისთვის პერიოდულად წაიკითხავენ ლექციებს ამერიკის შეერთებული შტატების თაობაზე.
3. შზსუ ამერიკისმცოდნეობის პროგრამის სტუდენტები დაამყარებენ მჭიდრო კონტაქტს მოსწავლეებთან და გამართავენ დისკუსიებს, დებატებს მათთვის საინტერესო თემებთან დაკავშირებით.
4. წარმატებული სტუდენტები გაუზიარებენ მოსწავლეებს თავიანთ გამოცდილებას ამერიკისმცოდნეობის საკითხებზე, ინგლისურ ენაზე პრეზენტაციების მომზადების მიზნით.
5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების უფროსი კლასელები მოწვეულები იქნებიან ამერიკისმცოდნეობის ყოველწლიურ საერთაშორისო კვლევით

IBSU

INTERNATIONAL BLACK SEA UNIVERSITY LLC

1995

კონფერენციაზე დასასწრებად, რომელიც ტარდება აშშ-ს საელჩოსთან თანამშრომლობით.

6. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
7. მხარეებს უფლება აქვთ, შეწყვიტონ წინამდებარე მემორანდუმის მოქმედება მეორე მხარისათვის ერთი თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი ან ელექტრონული შეტყობინებით, შეთანხმების საფუძველზე. მემორანდუმის შეწყვეტა, მხარის ინიციატივით, უნდა განხორციელდეს ისე, რომ ზიანი არ მიადგეს მეორე მხარის საგანმანათლებლო ინტერესებს.
8. მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერისთანავე, მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.
9. მემორანდუმი მომზადებულია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივე მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა.Georgian-American School

მის.: თბილისი. ნ.რამიშვილის ქ. N6

ტელ: 032 222 16 16

შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“

მის.: თბილისი, დ. აღმაშენებლისხეივანი, მე-13, 2

ს.კ. 229275405

ტელ.: (0099532) 2595005

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა.

Georgian-American School-ის

დირექტორი: ირმა მესხიშვილი

....

შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“

რექტორი პროფ. დოქტ. ილიას ჩიღოღლუ

....

"ქართულ-ამერიკული სკოლა" 404965789 "GEORGIAN-AMERICAN SCHOOL" LLC